Subsumtionsirrtum

Im **georgischen Strafrecht** ist der Subsumtionsirrtum nicht als eigenständige Irrtumsart anerkannt, da dieser Irrtum für die Begründung des tatbestandlichen Unrechts nicht relevant ist. Er kann eher als ein Fall des Verbotsirrtums gesehen werden, der bei Vorliegen der entsprechenden Voraussetzungen zum Entfallen der Schuld führen kann. Stiehlt der Täter z.B. den Hund seines Nachbarn weiß er dabei zwar, dass die Wegnahme fremder beweglicher Sachen grundsätzlich strafbar ist. Fälschlicherweise hält er den Hund aber nicht für eine (fremde bewegliche) Sache. Für die Erfüllung des Tatbestands des Diebstahls (Art. 177 gStGB) ist dieser Irrtum jedoch unerheblich. Ein weiteres Beispiel: Der Täter überfällt ein Geschäft und verwendet dabei eine Spielzeugpistole, die einer echten Pistole ähnelt. Obwohl er weiß, dass Raub eine Straftat ist, glaubt er, dass er der Verantwortung entgehen kann, da die Spielzeugpistole tatsächlich keine Gefahr darstellt. In beiden oben beschriebenen Fällen handelt es sich um strafbare Handlungen, im ersten um einen Diebstahl und im zweiten um einen Raub.

Von einem Subsumtionsirrtum spricht man im **deutschen Strafrecht** für den Fall, dass der Täter zwar sämtliche Tatumstände kennt, dabei aber infolge fehlerhafter Auslegung nicht weiß, dass er ein bestimmtes Tatbestandsmerkmal verwirklicht. Welche Konsequenz diese Form der Fehlvorstellung hat, kann nicht pauschal, sondern nur in Abhängigkeit vom betroffenen Tatbestand beantwortet werden. So ist etwa anerkannt, dass das Entfernen von Strichen auf einem Bierdeckel, um am Ende des Abends in der Kneipe weniger zahlen zu müssen, in Kenntnis sämtlicher Umstände erfolgt, die den Bierdeckel zu einer „Urkunde“ i.S.d. Tatbestandes der Urkundenfälschung (§ 267 dStGB) machen. Danach liegt Vorsatz hinsichtlich der Urkundenfälschung auch dann vor, wenn der Gast zugleich davon ausgeht, dass es sich bei einem Bierdeckel keinesfalls um eine „Urkunde“ handeln könne. Das fehlerhafte Verständnis des Urkundenbegriffs kann allenfalls einen – erst auf Schuldebene relevanten – Verbotsirrtum begründen (vgl. § 17 dStGB). Anders kann es sich aber bei normativen Tatbestandsmerkmalen verhalten: Geht der Täter irrig davon aus, Eigentümer eines Gegenstandes geworden zu sein, handelt er mit Blick auf die Eigentumsdelikte der §§ 242, 246 dStGB (Diebstahl und Unterschlagung) ohne Vorsatz hinsichtlich der Wegnahme bzw. Zueignung einer fremden Sache. Die „Fremdheit“ ist ein normatives Tatbestandsmerkmal und erfordert daher Kenntnis (auch) des sozialen Sinngehalts des Tatumstandes, womit bei einer Verkennung der Eigentumslage ein vorsatzausschließender Tatbestandsirrtum zu bejahen ist (vgl. § 16 dStGB).

Deutsches und **georgisches Strafrecht** stimmen im Ausgangspunkt darin überein, dass der Subsumtionsirrtum keine eigenständige Irrtumsart darstellt, sondern vielmehr eine spezifische Form der Fehlvorstellung beschreibt. Während im **deutschen Strafrecht** ein Subsumtionsirrtum im Einzelfall, so bei normativen Tatbestandsmerkmalen, auch und bereits zum Wegfall des Vorsatzes führen kann, ist im **georgischen Strafrecht** ausschließlich eine Schuldrelevanz – im Sinne fehlenden Unrechtsbewusstseins – denkbar. (Abe/Tbe)

სუბსუმციის შეცდომა

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სუბსიმციის შეცდომა არ არის აღიარებული, როგორც შეცდომის ცალკე სახე, რადგან ეს შეცდომა ქმედების კვალიფიკაციისთვის არ არის რელევანტური. იგი უფრო შეიძლება განიხილებოდეს, როგორც აკრძალვის შეცდომის შემთხვევა, რაც შესაბამისი პირობების არსებობისას შეიძლება ბრალის გამომრიცხველი იყოს. მაგალითად, პირი იპარავს მეზობლის ძაღლს, მან იცის, რომ სხვისი მოძრავი ნივთის ქურდობა ზოგადად, დასჯადია, თუმცა შეცდომით მიიჩნევს, რომ ძაღლი (სხვისი მოძრავი) ნივთი არ არის. ქურდობის (სსსკ-ის 177-ე მუხლი) შემადგენლობისთვის ეს შეცდომა მნიშვნელოვანი არ არის. კიდევ ერთი მაგალითი: დამნაშავე თავს ესხმის მაღაზიას და იყენებს სათამაშო იარაღს, რომელიც რეალურ ჰგავს. მიუხედავად იმისა, რომ იცის, რომ ყაჩაღობა დანაშაულია, ის ფიქრობს, რომ პასუხისმგებლობას თავიდან აიცილებს, რადგან სათამაშო იარაღი რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს. ზემოთ აღწერილ ორივე შემთხვევაში საუბარია დასჯად ქმედებაზე – პირველ მაგალითში ქურდობაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ყაჩაღობაზე.

გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სუბსიმციის შეცდომა განიხილება იმ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავეს ქმედების შემადგენლობის პირობების ცოდნის მიუხედავად, არასწორი ინტერპრეტაციის გამო არ ესმის, რომ კონკრეტული დანაშაულის შემადგენელი ნიშანი სახეზეა. ასეთი შეცდომის შედეგები შეიძლება მხოლოდ კონკრეტული დანაშაულის მახასიათებლების გათვალისწინებით განისაზღვროს. მაგალითად, თუ ბარში პირი ლუდის დასადებზე წაშლის მონიშვნას (რითიც დალეული ლუდის რაოდენობა აღირიცხება) რომ ბოლოს ნაკლები გადაიხადოს, შეიძლება ჩაითვალოს დოკუმენტის გაყალბებად (გსსკ-ის 267-ე პარაგრაფი), მიუხედავად იმისა, რომ პირი შეცდომით მიიჩნევს, რომ ლუდის დასადები არ არის დოკუმენტი. ასეთ შემთხვევაში შეცდომა შეიძლება განხილული იყოს აკრძალვაში შეცდომად (გსსკ-ის მე-17 პარაგრაფი), მაგრამ არა ქმედების შემადგენლობის შეცდომად (გსსკ-ის მე-16 პარაგრაფი). სხვა შემთხვევაში, შესაძლოა საქმე ეხებოდეს ქმედების შემადგენლობის ნორმატიულ ნიშნებს: თუ დამნაშავე შეცდომით მიიჩნევს, რომ გახდა ნივთის მესაკუთრე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით (გსსკ-ის 242, 246 პარაგრაფები – ქურდობა და მითვისება), ის მოქმედებს სხვისი ნივთის მისაკუთრების ან მითვისების განზრახვის გარეშე. „ნივთის სხვისად ყოფნა“ არის ნორმატიული ნიშანი და მოითხოვს ფაქტის (ასევე, სოციალური შინაარსის) ცოდნას, რის გამოც საკუთრების სტატუსის არასწორი აღქმის შემთხვევაში, შესაძლებელია დადასტურდეს განზრახვის გამორიცხველი ფაქტობრივი შეცდომა (გსსკ-ის მე-16 პარაგრაფი).

გერმანული და **ქართული სისხლის სამართალი** თანხმდება, რომ სუბსუმციის შეცდომა არ წარმოადგენს შეცდომის დამოუკიდებელ სახეს, არამედ აღწერს მცდარი წარმოდგენის კონკრეტულ ფორმას. თუკი **გერმანულ სისხლის სამართალში** სუბსუმციის შეცდომა

კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, ქმედების შემადგენლობის ნორმატიულ ნიშნებთან მიმართებაში, შესაძლოა და იწვევს განზრახვის არარსებობას, **ქართულ სისხლის სამართალში** მხოლოდ ბრალის ეტაპზე – როგორც უმართლობის შეგნების არარსებობა – შეიძლება განიხილებოდეს. (Abe/Tbe)